ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5165847

ნომერი: AR1777586

თარიღი : 02.10.2020

გაცემის თარიღი : 29.10.2020

გაცნობის თარიღი : 29.10.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N29, კორპუსი N2; კორპუსი N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიო ბერიშვილი პ/ნ 01008050958
- მ. კოსტავას #75

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 ოქტომბრის №4230046 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 02 ოქტომბერს №AR1777586 განცხადებით მომართა სოფიო ბერიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 23

ოქტომბრის №4230046 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 ოქტომბრის №4230046 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ერისთავის ქუჩა №8-ში (ს/კ: №01.12.12.003.093) მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 23 ოქტომბრიდან 2019 წლის 23 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, №3 ბლოკისთვის გათვალისწინებულია ღია ავტოსადგომები (33 ავტოსადგომი), რომლის ფართობი (490.1 კვ.მ.) ბრძანებაში არ არის დაფიქსირებული. 33 ღია ავტოსადგომიდან 24 ავტოსადგომი (356.4 კვ.მ.) მდებარეობს №01.12.12.003.093 საკადასტრო ერთეულზე, ხოლო 9 ავტოსადგომი (133.7 კვ.მ.) - №01.12.12.003.094 საკადასტრო ერთეულზე. ასევე, №3 ბლოკისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომები (33 ავტოსადგომი) არის დატანილი სამსახურის 2020 წლის 21 სექტემბრის №5111019 ბრძანებით შეთანხმებულ პარკინგების გადანაწილების განახლებულ სქემაზე. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული ღია ავტოსადგომების ფართობის (საერთო ფართობით: 490.1 კვ.მ.) სამსახურის 2018 წლის 23 ოქტომბრის №4230046 ბრძანებაში დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. ამასთან, პარკინგების გადანაწილების სქემაზე დატანილ იქნა №3 ბლოკისთვის გათვალისწინებული ღია ავტოსადგომების ფართობები (33 ავტოსადგომი).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 ოქტომბრის №4230046 ბრძანებაში და დაფიქსირდეს შემდეგი ჩანაწერი: „№3 ბლოკისთვის დაფიქსირდეს 33 ღია ავტოსადგომი (ფართობი 490.1 კვ.მ.), რომლიდანაც №01.12.12.003.093 საკადასტრო ერთეულზე განისაზღვროს 24 (ოცდაოთხი) ღია ავტოსადგომი 356.4 კვ.მ. ფართობით, ხოლო, №01.12.12.003.094 საკადასტრო ერთეულზე - 9 (ცხრა) ღია ავტოსადგომი 133.7 კვ.მ ფართობით.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 ოქტომბრის №4230046 ბრძანებით შეთანხმებული პარკინგების გადანაწილების სქემა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი პარკინგების გადანაწილების სქემით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 ოქტომბრის №4230046 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 ოქტომბრის №4230046 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.